



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000009662189418

№ ს-1391

14 / ივნისი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 თებერვლის Nს-413 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 თებერვლის Nს-413 ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს „ე“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მერაბ თუხარელი“.
2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი კაკაბაძე